საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია ოთხშაბათი, 23 ივლისი 1919 წ. კრედიტორებმა ეძიონ ქალაქისა, ფასანთელი! № 162

ქართველი

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ღრმად დამწუხრებულნი: ძმები ვლადიმერ და ქიშვარდი, ძის შვილები: ვალოდია, სევერიანე, ოტია, გალაქტიონი- გოგია, კოლია, მინიკო, მიტუშა, კატუშა, ჟოჟოლა, ციცარონა, თამარი და ლიუდმილა, რძლები: კატო, ელენე, ოლღა, თამარი და ვერა, და პუპი, სიძე თედორე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 ივლისს სად. ნატანებში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

ფოტინე მიტროს ასულის თავვართქილაძის

სულის მოსახსენებლათ. (3—2)

თავზარდაცემული გრიგოლ დიანოსის ძე დოლიძე შვილებითურთ ამით აცნობებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ მან 20 ივლისს სამუდამოდ დაჰკარგა თავისი ძვირფასი მეუღლე.

თეოდორე დოლიძისა ჯიგლაძის ასული

დაკრძალვა მოხდება 24 ივლისს დღით ხუთშაბათს 10 საათზე შუა ამაღლების ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე. (2—1)

გულდათუთქული დედა ფედოსი ჯიბლაძისა და მარია ჯიბლაძე, აცნობებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 20 ივლისს შუა ამაღლებაში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი პირველის შვილის და მეორეს და

თეოდორე დოლიძის ჯიგლაძის ასული

რომლის დაკრძალვა მოხდება 24 ივლისს დილის 10 საათზე შუა ამაღლების ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე. (2—1)

ბათუმი

ბათუმის და ბათუმის ოლქის საკითხის გადაწყვეტა ამ ბოლო ხანებში ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მისი განუყოფელობა საქართველოს რესპუბლიკასთან, თეორიულად მაინც, ყოველმხრით აღიარებულია. ჩვენი რესპუბლიკის ისეთი მოძულე, როგორიც „დაშნაკცუთიუნის პარტიაა, გადაჭრით აღიარებს, რომ ბათუმი საქართველოს საზღვრებში უნდა იყოსო. ინგლისი, რომლის მბრძანებლობის ქვეშ იმყოფება დღეს ბათუმი და მისი ოლქი, და რომელიც აქამდის როგორღაც ალმაცერად უყურებდა ქართველების გავლენას ამ ქალაქში, დღეს თითქოს სცვლის თავის შეხედულებას ამ საგანზე და ქართველებს თავისუფლებას აძლევს ქართულ იდეის პროპაგანდას და საქართველოს გავლენის გაძლიერებას არ აბრკოლებს.. ბათუმში თავისუფლად შედის მთელი მატარებელი, რომელიც დაუბრკოლებლივ აწყობს „ფრონტის დღეს“; მცხოვრებლები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს ჯარის და გვარდიის სასარგებლოთ გამართულ ზეიმში და ამას მათ არავინ უკრძალავს; ქართველი მუსულმანები, რომლებსაც აქამდის საშუალება არ ჰქონდათ საჯაროთ შეკრებილიყვნენ და თავიანთი „ორიენტაცია“ გამოერკვიათ, დღეს თავისუფლად მიტინგს მართავენ და გულახდილად გამოსთქვამენ თავის მისწრაფებას. მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ბათუმის და მის ოლქის ბედ-იღბალის გადაწყვეტაში თვით ხალხის, ქალაქის და ოლქის მცხოვრებთა სულიერ განწყობილებას აქვს. ვისკენ არის მცხოვრებთა სიმპატია? საით მიიწევს მათი სასიცოცხლო ინტერესები? ამაზე პასუხს იძლევა ქართველ მუსულმანთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი, რომელიც 20 ივლისს გაიმართა ქ. ბათუმში. მიტინგზე დაესწრენ სამუსლიმანო საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენლები, ქობულეთ-ჩაქვიდან დაწყებული, ლაზისტანამდის. ყველა ორატორებმა თავისუფლად გააშუქეს, რანაირი პოლიტიკური წყობილება უფრო ხელსაყრელი იქნება ქართველ მუსულმანთათვის.

ცალკე სახელმწიფოს დაარსებაზე არც ერთს ორატორს არ დაუძრავს სიტყვა. „ცალკე სახელმწიფოებრივი ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგან პატარა ვართ და არც სახელმწიფოებრივი ტრადიციები გვაქვს“, სთქვა ამ საკითხზე მხოლოდ ერთმა ორატორმა.

საქართველო, ოსმალეთი, თუ რუსეთი?—აი როგორ იდგა მიტინგზე საკითხი ამ სამ სახელმწიფოთა შორის. საითკენ არის მუსულმან-ქართველთა სიმპატია? საითკენ არის მიმართული მათი ეკონომიური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა ინტერესები?

რუსეთის წიაღში დაბრუნებაზე ყველა ორატორებმა კატეგორიულად უარი სთქვეს: „რაც შეეხება რუსეთს, ის ჩვენთან ყოფნას სიზმარშიაც ვერ იხილავს, სთქვა ჩაქვის წარმომადგენელმა: „რა ხეირი დაგვაყარა მან მაშინ, როცა მასთან ვიყავით? არაფერი“. სამუსლიმანო საქართველომ იცის მხოლოდ ძველი რუსეთი, რომლისგანაც დევნის, ტანჯვის და შევიწროების მეტი არა უნახავს-რა. ახალი რუსეთი კი მას ჯერ არ უნახავს. იგი კარგად ხედავს, რომ ის, რასაც დენიკინელები „აღორძინებულ რუსეთად“ აცხადებენ, ძველი რუსეთიდან არაფრით განსხვავდება, და ის, რასაც ანხორციელებენ ბალშევიკები, იქნება წინანდელს არა ჰგავს, მაგრამ ანარქიის და არევ-დარევის მეტს ვერაფერს მოგვიტანს. მესამე რუსეთი, დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ საფუძველზე აშენებული რუსეთი კი არსად სჩანს.

ოსმალეთი? „ოსმალეთთან შეერთებაც მიუღებელია ჩვენთვის, სთქვა ერთმა ორატორმა: „ოსმალეთმა თუ რამე წაგვართვა, თორემ აქეთ არაფერი მოუცია“. ორატორს, უეჭველია, სახეში ჰქონდა ასკერების ბათუმის ოლქში თარეში რვა თვის განმავლობაში.

დარჩა **საქართველო**. მასთან მუსულმან ქართველებს სარწმუნოება აშორებს და სწორეთ ეს საგანი გამოიყენეს ჩვენმა მტრებმა მუსულმანების შესაშინებლად და მათ გულში საქართველოს სიძულვილის გასაძლიერებლად. მაგრამ დღეს გამოფხიზლებულ ხალხში ამ დემაგოგიას გასავალი აღარა აქვს. მუსულმანი მცხოვრებნი ამ ანკესზე ძნელად ღა აეგებიან. „სარწმუნოების შესახებ ჩვენსა და ქართველებს შორის დავა არ იქნება“, დაბეჯითებით სთქვა ქობულეთის წარმომადგენელმა. არ იქნება დავა, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკაში სულ ყველა სარწმუნოებანი თანასწორნი იქნებიან, არც ერთს არ ექნება მინიჭებული არავითარი უპირატესობა, არც ერთი სარწმუნოება არ იქნება შევიწროებული. სარწმუნოებრივი საკითხი დემოკრატიულ საქართველოში სავსებით გადაწყვეტილია და ამ საგანს მისი მტრები ვეღარ გამოიყენებენ მუსულმან-მოძმეთა საქართველოსთან დასაშორებლად.

მიტინგზე ყოველ მხრივ იყო განხილული სამუსლიმანო საქართველოს საკითხი. დარბაისლურ აწონ-დაწონვის შემდეგ, მწარე გამოცდილებით განსწავლული სამუსლიმანო საქართველო ადგება ერთად ერთს გზას, რომელზედაც მას ბუნებრივი ინსტიქტი მიაქანებს: **„შეურთდეთ საქართველოს რესპუბლიკას ავტონომიის საფუძველზე“**, აი გზა, რომელსაც არჩევს ბათუმის ოლქის ხალხი. მიტინგის ხელმოწერილი ოქმი ინგლისის წარმომადგენელს გაეგზავნა. ამავე შინაარსის დეპეშა გაეგზავნა პარიზის კონფერენციას.

ასეთია ერის სურვილი, ასეთია მისი თვითგამორკვევა და მას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც დღეს ხელთ უპყრიათ ქვეყნის ბედი.

პრესა

„აშხატავორი“ (№ 144) სააგიტაციო მასალად იყენებს სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნების მთავრობის მიერ გადადებას. მას არ სჯერა, რომ ამ გადადების მიზეზი იყო ყანებში მუშაობა და ხალხის მოუმზადებლობა. მას აქ სხვა განზრახვები ელანდება:

„ნამდვილი საბაბი კი იმაშია, რომ მთავრობამ მაზრებში სასურველი მდგომარეობა ვერ ნახა ისე, როგორიც უნდა ყოფილიყო მე-3 ნომრის გასამარჯვებლათ. რა უნდა ექნათ? ან უნდა მეგიეულათ მიელოთ მონაწილეობა და დამარცხებულიყვნენ, ან უნდა გადაედოთ არჩევნები. ამ საქმეში დასახმარებლათ გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი და გადასდო არჩევნები.

„მაგრამ რამდენიც არ უნდა დაფაროს თავისი მოქმედება მთავრობამ, საქართველოს სომეხი მშრომელი ხალხი ხედავს ძალადობის აქტს და შესძლებს ღირსეულადაც დააფასოს ის“.

მეორე 145 ნომერში დაბეჭდილია „დაშნაკცუთიუნის“ ცენტრ. კ—ტის მოწოდება არჩევნების გადადების გამო. მოწოდება კიდევ უფრო აღეირ-წახსნილი დემაგოგიით არის სავსე:

„ამხანაგებო! მთავრობის დაუსრულებელ თვითნებობას კიდევ მიემატა ერთი აქტიც აკრძალულ იქნა ეროვნული საბჭოს არჩევნები. ამ თვითნებურ და ანტი-დემოკრატიულ ნაბიჯს ამართლებს მინდვრებში მუშაობის დაუსრულებლობის საბაბით. რომ მაზრებში მუშაობა ხდებოდა მუდამ ზაფხულში, ეგ კარგათ იცოდა მთავრობამ, და თუ ეს ახლა მოიგონა, ეს იმიტომ, რომ თავისი პოლიტიკური მოსაზრებანი არ გამართლდა.

„ამხანაგებო! მთავრობის ლაქიებმა ვერ შესძლეს თავისკენ მიემხროთ სომეხი მშრომელი ხალხი და თავიანთ სასირცხვილო დამარცხების დასამალათ გადადვეს არჩევნები. ჩვენი მტკიცე და დაუღალავი მუშაობის წყალობით გავიმარჯვებთ!“.

როდესაც სომხების ეროვნულ საბჭოს არჩევნები მთავრობის განკარგულებით გადადებულ იქნა, ჩვენ ვიცოდით, რომ „დაშნაკცანები“ ამას სააგიტაციო მასალად გამოიყენებდნენ და მთავრობას რაღაცა განზრახვებს დასწამებდნენ. მიუხედავად ამისა, არჩევნების გადადება მაინც მოხდა, რადგან ამას თვით სომეხი ხალხი მოითხოვდა, რაიც მრავალ თხოვნებიდან მტკიცდება. „დაშნაკცუთიუნს“ რაღაცა მოსაზრებით ეს არ ესიამოვნა, მაგრამ ჩვენი მთავრობა ხომ იმაზე ვერ იზრუნებს, რომ „დაშნაკელებს“ ასიამოვნოს. მთავრობას მხოლოდ ის უნდა, რომ არჩევნები რაც შეიძლება უფრო წესიერად იყოს მოწყობილი, რომ მასში რაც შეიძლება მცხოვრებთა მეტმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა. გესლიანობა და ღვარძლიანობა რომ არ ალაპარაკებდეს „აშხატავორს“, ერთი უბრალო რამ მაინც არ დაავიწყდებოდა: თუ კი მართალია, რომ საქართველოს „მთავრობამ სომხის მშრომელ ხალხის მომხრობა ვერ მოახერხა“, როგორც ამას გაზეთი ირწმუნება, მაშ, საქმეს როგორ უშველის არჩევნების გადადება? განა დღეს თუ სომეხი ხალხი რესპუბლიკის წინააღმდეგია, ხვალ მისი ერთგული გახდება? განა თუ დღეს მალავს მთავრობა „თავის სასირცხვილო დამარცხებას“, ხვალინდელ არჩევნებში ამ სირცხვილს თავიდან აიცილებს? ნუ თუ ეს ვერ მოისაზრა „აშხატავორმა?“ თუ, სიბრაზისაგან მას გონება დაჰფანტვია?

დენიკინის ჯაშუშები ჩვენში

იმის დასასურათებლათ, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენში დენიკინის ჯაშუშები და რა გვარ ცნობებს აწვდიან დანიშნულებისამებრ, საჭიროდ მიგვაჩნია ქვემოდ მოყვანილი ორიოდე დოკუმენტის მოთავსება. ორივე დოკუმენტი ეკუთვნის გურია-სამეგრელოს ეპარქიალური სკოლების მეთვალყურეს ცნობილ სინსკის.

პირველი ცნობა, რომელიც ფოთიდანაა გაგზავნილი სინსკის მიერ, შემდეგს შეიცავს:

„ამ დღეებში ფოთში ჩამოვიდა თფილისიდან ინგლისელების მიერ გამოდევნილი გერმანელების მისია ფონ-კრესის მეთაურობით. მისიას დიდის აღფრთოვანებით, „ურას“ ძახილით და მუსიკით შეხვდნენ სადგურზე. შემდეგ რამდენიმე საღამო-ბანკეტი იქნა გაართული რესტორან „მაკედონიაში“.

თფილისიდან განკარგულება იყო მიცემული: „ფულს ნუ დაზოგავთ“ და მიმავალ სტუმრებს ღირსეულად გაუმასპინძლდითო... იყო ღვინის სმა... წარმოითქვა სიტყვები, ერთმანეთს ეფიცებოდენ საქართველო-გერმანეთის მეგობრობაში. ზეიმში მონაწილეობას იღებდა სოჭიდან ამ საქმისათვის საგანგებოდ ჩამოსული გენ. კონიეგი, ყველაფერი ეს ხდებოდა ინგლისელების თვალ წინ, მათ დასანახად, რომ ეჩვენებინათ უცხოელებისათვის, თუ როგორ შეუძლიანთ ქართველებს იმ უცხოელების დაფასება, რომელნიც მათ დამოუკიდებლობას მხარს უჭერენ, რაიც ინგლისს ჯერ არ უცვნია.

„საზღვარ გარეთ კი, იმავე დამოუკიდებლობისათვის თავს იმცირებენ საგანგებოთ გაგზავნილი დელეგატები. ბევრი თავხედობაა, დიდი პირმოთნეობაა: არ არის მხოლოდ ელემანტარული რიგიანობა...

„რუსებსაც შეეძლოთ კარგათ მიღება თავიანთი მეგობრებისა (ინგლისელების), მაგრამ სამწუხაროდ, მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცდენათ იძულებულნი არიან თავი შეიკავონ თავისი სიმპატიების საჯაროთ გამოფენისაგან.

„ქალაქი ფოთი 1828 წელს რუსებმა დაიპყრეს ოსმალეთისაგან და არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს კუთვნილებათ.“

ბ-ნი სინსკის მეორე მოხსენება გენ. დენიკინისადმი ასეთია: „თქვენო აღმატებულებავ! პირველად ყოვლისა ბოდიშს ვიხდი, რომ არსებული პირობებისა გამო თქვენ უბრალო წერილს გწერთ და არ ვიცავ ფორმალობას, რომელიც შეეფერება თქვენს მდგომარეობას. გარდა ამისა გთხოვთ მაპატიოთ სიჩქარით გამოწვეული ჩემი წერილის უსუფთაობა. გთხოვთ თქვენ ფოთის რუს მცხოვრებთა სახელით მალე მისცეთ მსვლელობა ჩვენს საიდუმლო განცხადებას, რომელიც ჩვენ გაეუგზავნეთ ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს, ბ. ნიკოლაიდის ხელით (რუსთა სანავოსნო საზოგადოების ყოფილი აგენტი). განცხადების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვინდა გავიგოთ, როგორ და რომელი საჭიროებისათვის იქნა დახარჯული ბარინოვის მიერ ცენტრალური საბჭოსაგან ჩრდილო-კავკასიიდან გამოგზავნილი ფქვილი. რაც შეეხება ბარინოვს, ის ფოთელი (ბალშევიკების ერთ-ერთი ლიდერთაგანია. (ბალშევიკთა ლიდერები ფოთში სამია: ბარინოვი ლეკავა და კაჭაროვი) და მას შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს.

„დასასრულ, ძლიერ გთხოვთ აღმომიჩინოთ დახმარება რომელიმე რუსულ თანამდებობის მიღებაში (უკეთესი იქნება პედაგოგიური), ვინაიდან მოანგარიშის ადგილი, რომელიც მე მაქვს ფოთის ნავთსადგურის სამმართველოში, სრულებით არ მაკმაყოფილებს. ყოფილი გურია-სამეგრელოს საეპარქიო სკოლების ზედამხედველი უმაღლესი განათლება მიღებული **სინსკი**.

სინსკის საჯაშუშო ცნობას თან მიჰყვება დენიკინთან მოწვევის ბარათები. როგორც „ბორბა“ გადმოგვცემს, ამ დღეებში ფოთში დაპატიმრებულ თავ. თომა დადიანს აღმოსჩენია დენიკინისადმი მიწერილი შემდეგი მოწვევის ბარათი: „თქვენო აღმატებულებავ! მამაჩემი, ბრწყინვალე თავადი სამეგრელოსი, ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი მთელი თავისი არსებით მტკიცეთ იცავდა დიდ რუსეთს.

დღეს

ურალის ფრონტზე საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს და ჩელიაბინსკს უახლოვდება. სამხრეთის ფრონტზე შეტევას განაგრძობს. აქ საბჭოთა ჯარმა დაიკავა ნოვოხოპიორი.

პოლონელებსა და გერმანელებს შორის ბრძოლა გრძელდება.

ოსმალეთის დელეგაციის შუამდგომლობის თანახმად მოკავშირეები მცირე აზიაში საგანგებო კომისიას გზავნიან იმ ბოროტ-მოქმედებათა გამოსარკვევათ, რომელიც, ოსმალების სიტყვით, ბერძნები სჩადიან.

ავსტრიელებს 15 დღის ვადა მიეცეს გადაცემული საზავო პირობების სისრულეში მოსაყვანათ.

ბალშევიკების ცნობით, ლონდონში ჯარისკაცებმა არეულობა მოახდინეს.

ეს იყო მაშინ, როდესაც რუსეთი განურჩევლად ეროვნებისა თავისი სახელოვან შვილებით მოიწევდა წინ კავკასიისაკენ და მოჰქონდა მცირე ერებისათვის თავისუფლება, კულტურა და ანთავისუფლებდა მათ მუსულმანთა კალანჭებისაგან.

მაგრამ დადგა ჟამი საშინელი—ხანა ცილისწამების და მოღალატეობის, იუდა-გამცემლები გზას იკაფავდენ და მიისწრაფებოდენ რუსეთის გულისაკენ. დახარა თავი დაავადმყოფებულმა რუსეთმა. მაგრამ არ გააგდო იგი თავის სუსტ ხელებიდან. დიდი ბელადები, რუსეთის აღდგენას ეტრფოდენ და მის კეთილდღეობას სდარაჯობდენ. ერთი ერთმანეთზე სწყდებოდენ ის სისხლით ნაშენი ჯაჭვები, რომლებიც აერთებდენ კავკასიის ხალხს დიდ სამშობლო დედასთან, რუსეთთან. ხალხი მოიწამლა, იაფ-ფასიან იდეებს აყვა იგი აგიტატორების წყალობით. მე არასოდეს არ დამიკარგავს იმედი, რომ დადგება დრო, როდესაც რუსეთი ძლიერი და აღორძინებული აღმართავს მაღლა თავის ლახვარს და დაიცავს სამართლიანობას; ამ გვარი ჟამი მოახლოვებულია. თქვენ, თქვენო მაღალ აღმატებულებავ, ერთი დიადი მეთაურთაგანი ხართ რუსეთის; თქვენი სახელი ისტორიის ფურცლებზე საპატიო ადგილს დაიკავებს, რადგანაც თქვენ გადალახეთ ყოველივე დაბრკოლებანი; ყოველ გვარი ჭირვარამი აიტანეთ რათა უკვდავების წყალი გეპკურებინათ რუსეთის ტანჯულ სხეულისათვის. მოგესალმებით თქვენ წმინდის გულით, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! მთელის ჩემის მოზღვავებული გრძნობით მსურს აბობოქრებულ კავკასიის სახელით შევეკითხო: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, რუსეთის დიდებულო ბელადო“. უკუნითი უკუნისამდე იქნება კურთხეულ თქვენი სახელი“.

„იაშასუნ ადერბეიჯან გურჯისტან“

(გაუმარჯოს ადერბეიჯან—საქართველოს)

19 ივლისს, ფრონტის პირველ დღეს, ბაქოსკენ გაგიდა საღღესასწაულო მატარებელი.

როცა ამ მატარებელს ვგზავნიდით, ჩვენ ვიცოდით მისი მნიშვნელობა, მაგრამ იმისი წარმოდგენაც კი არ გვქონდა, თუ ამ სადღესასწაულო მატარებლის გაგზავნა ადერბეიჯანისკენ ასეთ პოლიტიკურ ხასიათს მიიღებდა.

ჩვენ მხედველობაში გვქონდა ორიოდე გროში მოგეგროვებინა ფრონტისათვის და თანაც მოკავშირე რესპუბლიკასთან კეთილი განწყობილება დგვენიშნა.

ამ მატარებლის გაგზავნით მატერიალური მხარეც სასურველად დაბოლოვდა, მაგრამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო მან პოლიტიკურის მხრით.

გადაეცდით თუ არა საზღვარზე—ფოთლოშივე ძმური, აღფრთოვანებული შეხვედრა.

აქსტაფაში დიდი მიტინგი გაიმართა; ჩვენმა ამხანაგებმა აუხსნეს დამსწრეთ დღევანდელი დღის მნიშვნელობა, მოსალოდნელი საფრთხე შავი რეაქციისაგან და მნიშვნელობა ძმობა-ერთობა-შეკავშირებისა.

ვაშას ძახილს და „იაშასუნ ადერბეიჯან-გურჯისტან“... „იაშასუნ გურჯისტანის“ ძახილს არ ჰქონდა საზღვარი.

სამწუხაროდ, ადერბეიჯანის გზაზე ბევრი არიან დენიკინელები—ზოგიერთი რუსები. ამით, რა თქმა უნდა სცადეს აქა-იქ წამოეყოთ თავი და გადმოენთხიათ გესლიანი სიტყვები. მაგრამ მათ ბოდვას გასავალი არ ჰქონდა.

ბევრი არიან ადერბეიჯანის გზაზე სამსახურში ჩვენი ამხანაგებიც—ქართველები. საკურველია, რომ უმუშავარმა ამხანაგებმა რკინის გზელებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და ჩადგნენ სამსახურში ადერბეიჯანის გზაზე. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა საერთო საქმისთვის. ყველგან ქართველებს ნდობით და სიყვარულით უყურებდნენ და არც უარს ეუბნებიან სამსახურში მიღებაზე.

აი სადგურები ტაუზი—ძეგამი, ისტორიული შამხორი და თვით დიდი განჯა.

განჯაში მატარებელი თითქმის ერთი საათი დგას. მიტინგი ღებულობს რაღაცა არაჩვეულებრივ სადღესასწაულო ხასიათს. სიტყვები, მუსიკა, ცეკვა, თამაში. ყოველ სიტყვას მოსდევს მჭუხარე „იაშასუმ გურჯისტან“ (გაუმარჯოს საქართველოს). ამას მოსდევს მუსიკის „ტუში“ მერე ლეკური და ასე წარმოუდგენელ აღტაცებაში ხარ! გინდა არ გათავდეს ეს დიდებული სანახაობა, თავი სიზმარში გგონია, მაგრამ მატარებლის „სვისტოკს“ გამოჰყავხარ ამ ზღაპრულ მდგომარეობიდან. მატარებელი მიდის.

— „იაშასუნს“ და სხვა ამ შინაარსის სიტყვების ძახილს საზღვარი არა აქვს, მუსიკის „ტუში“. დროშების ფრიალი: „ძირს დენიკინის“ და მატარებლის თვლების „ტიკ-ტუკი“ სტოვებს ამ დიდებულ სანახაობას.

მაგრამ განჯა თან გვატანს თავის წარმომადგენელს, ამხანაგ ისმაილ იბრაგიმოვს, რომელიც ჩვენს ამხანაგ კიპრიზოვთან ერთად თათრულ ენაზე ეწევა აგიტაციას გზაში და თათრულის არ მცოდნეთ გვიწევს დიდ დახმარებას.

ს. დოლიძე.

უკანასკნელი ცნობები

ქართველები უკრაინაში.

უკრაინაში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ბ. თევზაია ატყობინებს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იგი ამ ჟამად იმყოფება ოდესაში. მასთან არიან მისიის ყველა წევრები, ქართველი ტყვეები და უკრაინის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული ქართველები.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული სტამბოლში.

26 მაისი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე. სტამბოლის ქართველობამ დიდის ზეიმით აღნიშნა. გამოგზავნილი მოლოკვით სტამბოლის ქართველობა სალამს უძღვნის მთავრობას და შზათაა მტლად დაედგას სამშობლოს კეთილდღეობას და თავისუფლებას.

აჯანყება დაღესტანში.

დაღესტნის მთა-გორიან ნაწილში შესდგა მთიელთა თავდაცვის კომიტეტი, რომელსაც მეთაურობენ შეიხ-ულ-ისლამი, ალი-გაჯი, იაკუშინსკი, და მთიელთა რესპუბლიკის ყოფილ მთავრობის ერთ ერთი წევრი. კომიტეტის ხელმძღვანელობით დაღესტნელები თავს დაესხნენ გენერალ ხალილოვის რაზმელებს. შეტაკება მოხდა სოფ. ნ. ჯუნგუტაიტთან. მთიელებმა დაამარცხეს ყაზახები. უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ პოზიციები. ყაზახებს დიდი ზარალი მოუვიდათ. მოუკლეს 7 ოფიცერი და მრავალი მხედარი. ბაქოში მიღებულ სარწმუნო ცნობებით, ხალილოვის რაზმელები მთიელებს მიემხრნენ. დურგანის ხეობაში მოხდა შეტაკება მთიელთა და დენიკინელებს შორის, სადაც მთიელებმა გაიმარჯვეს.

გურიის კომიტეტის ერთი დადგენილების გამო*)

გურიის კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე სხვა დადგენილებათა შორის მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება ცენტრალურ კომიტეტის წერილის გამო: „მოისმინა რა მოწერილობა ც. კ-ტისა, გურიის კომიტეტი განაგრძობს ძველი, ნაცადი გზით მუშაობას“.

ამ დადგენილების გამო „ერთობის“ № 152-ში (სადაც გურიის კომიტეტის სხდომის ანგარიში იყო მოთავსებული) დაისტამბა „განის“ წერილი, რომელიც აღნიშნავდა შეცდომას ამ გვარი დადგენილების გამოტანის გამო, და მოუწოდებდა გურიის კომიტეტს თავისი დადგენილება გადაეშინჯა, დამორჩილებოდა ც. კ-ტის მოწერილობას და მით თავისი მოქმედება შეეფარდებინა შეცვლილ პირობებთან.

ამას ზედ დაერთო გაზეთ „საქართველოს“ ახმაურება, რომელიც სრულიად გაუგებრობის ნიადაგზეა აშენებული.

რაც შეეხება „განის“ შენიშვნას, ის სრულიად გაუგებრობით აიხსნება, რადგან გურიის კომიტეტის დადგენილება გულისხმობს სწორეთ იმას, რასაც ც. კ-ტი იწერებოდა.

რადგანაც ც. კ-ტის წერილშიაც იგივე ხაზი იყო გატარებული არსებითად, რასაც აქ გურიაში, პრაქტიკულათ ვანხორციელებდით, ცხადია, დადგენილებაც ძველი გზით მუშაობის განგრძობის შესახებ, ამან გამოიწვია.

მე, როგორც საკანტროლო კომისიის წევრი, ვამტკიცებ, რომ გურიის კომიტეტის დადგენილება ადმინისტრატიულ და ოფიციალურ დაწესებულებებში პირდაპირი ჩარევის შესახებ, სწორეთ იმას გულისხმობდა, რასაც დღეს ოფიციალურათ ც. კ-ტის წერილიდან ვტყობილობთ.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ თვით გურიის კომიტეტს და მის პრეზიდიუმს დასაშვებათ ეცნო ჩარევა ამა თუ იმ ოფიციალურ დაწესებულებების საქმეში.

მე ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ ყოველგვარი გაუგებრობა გაიფანტება და გურიის კომიტეტის დადგენილებაც ისე იქნება გაგებული, როგორც მას გულისხმობდა თვით გურიის კომიტეტი.

ცენტრალური საკანტროლო კომისიის
წევრი გრ. კოპლატაძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო კონფერენცია.

წელს, ივლისის უკანასკნელ რიცხვებში, ამსტერდამში შეიკრიბება პროფესიონილურ კავშირთა საერთაშორისო კონფერენცია. ბაქოს „ისკრა“ აღნიშნავს, რომ იმ სისხლის ღვრის შემდეგ, რომელიც იმპერიალისტებმა გამოიწვიეს, ეს პირველი ცდაა საერთაშორისო პროლეტარიატის დაქსაქსული ძალების გასაერთიანებლათ. მსოფლიო ბურჟუაზიის მთლიან ფრონტს უნდა დაუპირდაპირდეს საერთაშორისო პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი. თუ წინათ პროფესიონალური კავშირები კმაყოფილდებოდნენ თავიანთი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით და ფაქტიურათ კაპიტალისტებს უტოვებდნენ თავისუფლებას მოქმედებაში, ახლა მუშათა მოძრაობის ობიექტიური მსვლელობით იძულებულნი არიან იმოქმედონ სხვანაირად, ვინაიდან ცხადია, რომ კაპიტალისტებისათვის მოქმედების თავისუფლების დატოვება ნიშნავს მტაცებლურ ექსპლოატაციის თავისუფლებას.

„ამიტომ, პროფესიონალური კავშირები იძულებულნი არიან ჩაერიონ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და გაატარონ რადიკალური ცვლილებები მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ამ გზას აგებენ პროფესიონალური კავშირები ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში. ამ გზას დაადგებიან აგრეთვე სხვა ქვეყნების პროფესიონალური კავშირებიც.

„ამსტერდამის კონფერენციის წინაშე მთელი თავისი სიდიდით სდგას ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალი მეთოდი ბრძოლისა. აი რატომ არის კონფერენციის წესრიგში დასმული საკითხი: „საერთაშორისო მდგომარეობა და მუშათა კლასის მოთხოვნილებები“. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კონფერენცია გამოსძებნის საშუალებებს და გზას ამ საკითხის სწორად გადასაწყვეტად.

„კონფერენცია გააერთიანებს მთელი მსოფლიოს მუშებს და დარაზმულად წაიყვანს მათ მსოფლიო ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად“.

—

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ამსტერდამის კონფერენციაზე დასასწრებლათ უკვე გაუგზავნა მანდატი საქართველოს საზავო დელეგაციის წევრს ამხ. ირ. წერეთელს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22—23 ივლისი.

ბერძნული პრესის ცნობები.

„კელნის გაზეთი“ იუწყება, რომ კაიზერი, ეს რამდენიმე თვეა, რაც დაღონებულია. ექიმების სიტყვით, მის ჯანსაღობას დიდი საფრთხე მოელის. დიდი ხანია, რაც ის სახლიდან არ გამოდის და სხვებთან ლაპარაკს გაურბის, ხელოვნება და მეცნიერება მას აღარ აინტერესებს, რელიგიურად არის განწყობილი და ნერვები აწუხებს.

ფრანგული ცნობების მიხედვით, ბარონ ფონ-ლენსერი გერმანიის რწმუნებულათ დაინიშნა საფრანგეთის მთავრობასთან. ოფიციალური ცნობები ამის შესახებ ჯერ არ მოსულა.

გერმანელთა და პოლონელების შორის ბრძოლა გრძელდება. პოლონელთა საყარაულო რაზმები სადემარკაციო ხაზს ესხმიან. პოლონელები ყოველ დღე აყენებენ უსიამოვნებას გერმანელ მცხოვრებლებს.

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს ივლისის 20—21-თვის დანიშნული გაფიცვა გადასდონ და მხოლოდ თანაგრძნობა გამოუცხადონ (?).

ვენის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ ივლისის 21-ის დღე ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში იუქმონ.

იტალიის რკინისგზელთა ცენტრალურმა საბჭომ გადასწყვიტა საყოველთაო გაფიცვაში ადგილობრივ საბჭოთა მონაწილეობის საკითხი უარჰყოს „ავანტი“ იუწყება, რომ ზემოხსენებული საბჭო გადადგა, ახლად არჩეულმა საბჭომ გაფიცვას მხარი დაუჭირა. ამის შესახებ სწორე ცნობები ჯერ არ არის.

გადაწყვეტილებისამებრ, შვეიცარიის მიწაწყალზე დაკავებულ გერმანელთა სამშობლოში დაბრუნება ივლისის 21 დაიწყება.

გერმანიის მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ დაუპატიმრებიათ ბაპენის სემხედრო-სატეხნიკო სასწავლებლის პროფ. კვაზებარტი, ომის დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისთვის, თუ ეს მართლა მოხდა, იგი ეწინააღმდეგება დროებითი ზავის § 6. გერმანიის წარმომადგენლები დიუსელდორფში მოკავშირეებს განმარტებას მოსთხოვენ და პროტესტს განუცხადებენ, თუ კვაზებარტი მართლა დაპატიმრებულია.

სერჟანტ მანჰეიმის მკვლელობის მოწმეებმა ასეთი ჩვენება მისცეს; მანჰეიმი და მისი ამხანაგი „კაიზერი კაფე“-ში, ფრიდრიხშტრასეზე, თავხედურათ იქცეოდენ.

ბერლინის გაზეთები პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ მოკავშირენი ცდილობენ მკვლელობას პოლიტიკური ხასიათი მისცენ და ეროვნულ შურისძიებათ ახსნან იგი. მრავალ თვის განმავლობაში საფრანგეთის სამხედრო და დიპლომატიურ მისიის წევრნი თავისუფლათ გამოდიოდნენ ბერლინის ქუჩებზე, მაშინაც კი, როდესაც ხალხი ძალიან აღელვებული იყო, საზავო პირობათა გამოქვეყნების დროს, და მათთვის არავის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მანჰეიმის მკვლელობის და მისი ამხანაგის საქციელი პროვოკაციის შედეგია. გაზეთები მოითხოვენ, რომ ეს საქმე ჯერ გერმანიის სასამართლომ განიხილოს და შემდეგ საერთაშორისო სასამართლომ. პარასკევს მოხდა მანჰეიმის დასაფლავება, რომელსაც საფრანგეთის მისიისაგან 1 გენერალი, რამდენიმე ოფიცერი, ჯარისკაცი და სხვა სამხედრო მისიათა წარმომადგენლები დაესწრნენ.

მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს სხდომაზე, პარიზში, დეპუტატმა ფრანკლინ ბულიონმა ნებართვა ითხოვა, რომ გადაიდოს ფოშის მიერ ოთხთა საბჭოსთვის იმ მოხსენების წარდგენა, რომელიც მოითხოვს, რომ რეინის მთელი მარცხენა მხარე საფრანგეთს შეუერთდეს. ამ საბუთის გამოქვეყნება აღკრძალული იყო. ბულიონი ამ მოხსენების გამოქვეყნებით იმუქრება.

პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ ფელდმარშალ ფოშს დაავალა პირდაპირ მოელაპარაკოს გერმანიის მთავრობას სერჟანტ მანჰეიმის მკვლელობის შესახებ. „დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი შენიშნავს, რომ, თუ ეს გამართლდა, გერმანიის მთავრობა ამის გამო პროტესტს განაცხადებს: „ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ საზავო ხელშეკრულების დადასტურების შემდეგ შეუძლებელია არსებობდეს სხვა რაიმე ურთიერთობა, გარდა დიპლომატიურისა ამ ორ სახელმწიფოს შორის. ასეთი იყო გერმანიის მთავრობის შეხედულება მანჰეიმის საქმის დასაწყისში, როდესაც მან მიმართა ესპანიის ელჩს, როგორც საფრანგეთის ინტერესების წარმომადგენელს. საზავო ხელშეკრულების თანახმად, საოკუპაციო ჯარის მთავარსარდალი მხოლოდ სამხედრო ძალა-უფლების გამომხატველია და არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან დიპლომატიური წარმომადგენლობა. თუ ზემო მოყვანილი ხმები გამართლდა, ეს იქნება იმ დამოკიდებულების გაგრძელება, რომელსაც საფრანგეთი იჩენდა გერმანიისადმი დროებითი ზავის განმავლობაში. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობა უარს არ იტყვის იმის აღიარებაზე, რომ ზავის შეკვრის შემდეგ საერთო ინტერესები აღმოცენებულ საკითხების სხვა გზით გადაჭრას მოითხოვს“.

გალიციელების ცნობები.

მოსკოვი. ივლისის 21. ჩერნიგოვი. ივლ. 15. „ოდესკია იზვესტია“ იუწყება, რომ რუმინეთის ფრონტზე დაჭრილი რუმინელი ჯარისკაცები უნგრეთის საბჭოთა ჯარის გასაკვირველ გმირობას გადმოგვცემენ. უნგრეთის ჯარში მრავალი მოხუცი და ქალია. უნგრეთის საბჭოთა ჯარი მტერს ტყვედ არ უვარდება, მძიმე დაჭრილები კი თავს იკლავენ,

---

*) კმაყოფილებით ვბეჭდავთ ამ წერილს და სიხარულს გამოვსთქვამთ, რომ ამბავი გურიის კომიტეტის მიერ სწორ პარტიულ გზის გადახვევის შესახებ, გაუგებრობაზე ყოფილა დაფუძნებული.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მტერს არ ჩაუვარდნენ ხელში. უნგრეთის ჯარს სურსათი და იარაღი საკმაო არა აქვს. **ლიონი.** ივლისის 20. ოსმალეთის მთავრობის ჩივილის გამო, რომ მცირე აზიაში ბერძნები ბოროტ-მოქმედებას იდენენ, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა მცირე აზიაში საქმეების გამოსაძიებლად განსაკუთრებული კომისია გაგზავნოს. **დვინსკი.** ივლ. 17. თეთრი ესტონელების მთავარმა კომიტეტმა ბრძანება გამოსცა, რომ რეველის რკინის გზის სახელოსნოების გაფიცვა დაუყოვნებლივ შესწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩებს მკაცრად დასჯიან. **ლიონი.** ივლ. 20. მოკავშირეთა უმაღ. საბჭომ მოუსმინა ვენიზელოსს და პიშონს მცირე აზიაში საბერძნეთის და იტალიის საოკუპაციო ზონის განსაზღვრის შესახებ. „მატენ"-ის ცნობით, მოხდა შეთანხმება მცირე აზიაში სადეშარკაციო ხაზის გამორკვევის შესახებ, მცირე აზიაში მდგომარეობა კრიტიკულია. **ჩერნიგოვი.** ივლისის 15. ხარკოვიდან ჩამოსული მუშები გადმოგვცემენ, რომ გაფიცვის გამო ელექტრონის სადგურებში და წყლის მილების მუშაობა შეჩერებულია. გაფიცვები მუშების ხოცვა-ჟლეტის საპროტესტოდ არის გამოცხადებული. გელფერის ქარხნებში დენიკინის მიერ რეპრესიების შემოღების გამო მუშები ხარკოვიდან გარბიან და საბჭოთა ჯარს უერთდებიან. **ჰელსინგფორსი.** ივლისის 18. ფინური გაზეთები იუწყებიან, რომ ნავსადგურების მუშების გაფიცვების გამო, ჰელსინგფორსში მოსული, ჰავანით დატვირთული, ამერიკის გემის უფროსმა განუცხადა მუშებს, რომ თუ გემს მოკლე ხანში არ დასცლიან, გემი უკანვე წავა და აცნობებს, რომ ფინეთს სურსათი არ ესაჭიროება. „დეგენს-პრეს"-ის ცნობით, სასურსათო სამინისტრომ მიიღო ამერიკელების თანხმობა, რომ გემი ჯარისკაცებმა დმსცალონ. სასურსათო სამინისტრო ჰელსინგფორსის გაზეთში მუშაობის განახლების მსურველთ იწვევს. ჰელსინგფორსის პოლიციამ ნავთსადგურში ორმოცი გაფიცული დააპატიმრა იმის გამო, რომ მუშები შტრეიკბეხერებს მუშაობას უშლიდნენ. **ლიონი.** 21 ივლისი. მადრიდიდან მოსული ცნობებით, მაურამ, რომელსაც კაბინეთის შედგენა დააკისრეს, ავათმყოფობის გამო, ეს წინადადება უარყო. კაბინეთის შედგენა სანჩუნას დაევალა. „დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება, რომ ჰაიდბარკში ჯარში გაწვეულთა და მეზღვაურთა მრავალრიცხოვანი მიტინგი შესდგა. მიტინგის გათავების შემდეგ ბრბო შეეცადა პარლამენტის შენობაში შესვლას, მაგრამ პოლიციამ არ შეუშვა და რამდენიმეჯერ ისროლა. დაიჭრა რამდენიმე კაცი. იმავე დღეს ცხენოსან პოლიციელებს თავს დაესხნენ. საღ. 6 საათზე ბრბო მეორედ შეეცადა პარლამენტში შესვლას. პოლიციამ მათ გზა გადაუღობა. დემონსტრანტები შეეცადნენ პოლიციელების წრე გაერღვიათ. პოლიცია იძულებული შეიქნა უკან დაეხია. დემონსტრანტებმა პოლიციელებს შუშა, ხეების ნატეხები და სხ. დაუშინეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ცხენოსან პოლიციას მოემატა ახალი ძალა და ბრბოს რამდენჯერმე ესროლეს, რამაც პანიკა გამოიწვია და გამვლელნი იმსხვერპლა. ზოგმა გაქცევით თავს უშველა. რამდენიმე განთავისუფლებულმა ჯარისკაცმა ბრბოს სიტყვით მიმართა. ერთმა ორატორმა განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ჯარიდან განთავისუფლებულს თითო კაცს კვირაში 2 გირვანქა სტერლინგი აძლიოს. ამ განცხადების შემდეგ ხალხში გაისმა ხმა: „ჩვენ მოწყალება არა გვსურს". **სამარა.** ივლის. 19. ჩერნოვოდსკის რაიონში სოფ. მიხაილოვკაში ნავთი აღმოჩნდა. **მოსკოვი,** ივლის. 21. ლიტვის ტარიბამ გერმანიის მთავრობას ნოტით მიმართა, სადაც აღნიშნავს, რომ შავლიაში გერმანელი ჯარისკაცები თავს დაეხსენ ლიტვის მეცხრამეტე ჯარის ყაზარმებს, 5 საათს ესროდენ ლიტვის ყარაულებს და იარაღი ჩამოართვეს. შეტაკების დროს მოკლეს 9 და დასჭრეს 17 ლიტველი. ყოველ დღე მოდის ცნობები გერმანელ ჯარისკაცების სიმხეცის შესახებ. მიუხედავად გერმანიის მთავრობის განცხადებისა, რომ ის ზომებს მიიღებს, მდგომარეობა უარესდება, რის გამოც ლიტვის მთავრობა გერმანელების ჯარის გაყვანას და შავლიაში წართმეულ ქონების დაბრუნებას მოითხოვს. **სამხედრო ცნობა:** ივლის. 21. **დასავლეთის ფრონტი,** ოლონეცის მიმართულებით ჩვენ ვუტევთ. ნარვის მიმართულებით და ლუგის რაიონში სად. სტრუსთან ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. თეთრები პსკოვის რაიონში არიან. მოწინააღმდეგემ ჩვენ შეგვაიწროვა. მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენ რადოშკოვიჩი დავიჭირეთ. **სამხრეთის ფრონტი.** ჩვენ ნოვოხოპერი დავიჭირეთ. ხელში ჩაგვივარდა თოფები, 1800 ყუმბარა და მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. პოვორინოს მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. კამენინის რაიონში ჩვენ 500 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი, ცხენები და სხ. მასალა. **აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალსკის სამხრეთით კაშუმსკის ქარხანა დავიჭირეთ. ვერხნე ურალსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი უტევს. ჩელიაბინსკის რაიონში ჩვენ მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. ეკატერინობურგის რაიონში ჩვენ სად. ბაქენევოსკის წინ წავიწიეთ, წამოვიყვანეთ 1000 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 800 თოფი, 1 ტყვიისმფრქეველი და სხვა სამხედრო მასალა. ტიუმენის რკ. გზ. ჩრდილოეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ვერხნეტურის რაიონში ჩვენ ნიჟნიტურინსკის ქარხანა და ვერხნოტურიე დავიჭირეთ. დანარჩენ მიმართულებით ჩვენ შეტევას განვაგრძობთ. ზოგ ადგილებში ბრძოლაა.

ინგლისური პრესის ცნობები.

ივლისის 21. მდივანმა დიუშოსტმა ავსტრიელებს სულ უბრალო პირობებში ხელშეკრულობის უკანასკნელი ნაწილი გადასცა. ავსტრიელებს 15 დღის ვადა მისცეს მის განსახილველად. ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება მალე დამთავრდება და აღნიშნულ ვადაზე მას ხელს მოაწერენ. ავსტრია ვედეიბურგის ოლქს(?) მიიღებს, ჩეხო-სლოვაკები—ხიდისთვის სიმაგრეებს, პრესბურგის მეზობლად, მაშინ, როდესაც ავსტრია მეზობლად მდებარე ტერიტორიას მიიღებს. ამერიკელების მიერ გამოქვეყნებულ ოქმებში არ არის მოხსენებული ასეთი ტერიტორიალური ცვლილებანი. არის საფუძველი იმის საფიქრებლათ, რომ ქ. პეშტის ანექსია აბლაკუნთან შეტაკებას გამოიწვევს, თუ მოკავშირენი შეიარაღებული ძალით არ მოსპობენ მის მთავრობას. ავსტრია თავისი 30,000 ჯარით, რომლის უფლებაც მას საზავო ხელშეკრულებით ენიჭება, მარტო ვერ შეებრძოლება უნგრეთის უმრავლეს ჯარს ამ ტერიტორიის დაპყრობის დროს და იძულებული გახდება სამხედრო დახმარება სთხოვოს მოკავშირეებს.

იმ მიწა-წყალზე რომელსაც ჩეხელები მიიღებენ დუნაის სამხრეთით, 2 რკინის გზაა, რომელიც ადრიატიკიდან სამხრეთ სლავიაში მიდის. ამნაირად ჩეხელებს გასავალი ეძლევათ. ხელშეკრულობაში აგრედვე მრავალი მუხლია, რომელიც იტალიისთვის დათმობილ მიწა-წყალზე მცხოვრებ ავსტრიელებს სხვადასხვა უფლებებს ანიჭებს. იტალიას ეძლევა აგრედვე ამ ტერიტორიის ყველა რკინის გზები. ახალმა სახელმწიფოებმა ყოფილ ავსტრიის ვალის წილად 15 მილიონი ფრანკი უნდა გადაიხადონ, ოქროთი, რომლის უდიდესის ნაწილი ჩეხელებისა უნდა გადაიხადონ. ბევრი იმ აზრისაა, რომ ის ხელშეკრულება ავსტრიას გაანადგურებს, რადგან ვერ შეეძლება ზარალის ანაზღაურება. „ტან"-ი ამბობს, რომ მოკავშირენი ავსტრიის რეორგანიზაციას უნდა შეუდგნენ და მის ფინანსიურ და ეკონომიურ ცხოვრებას კონტროლი გაუწიონ. ეჭვი არაა, რომ მოკავშირეებს ეს მხედველობაში ჰქონდათ და შესაფერი გეგმებიც შეადგინეს.

სალამი მთავრობას

ბათუმიდან: მრავალრიცხოვანი მიტინგი ბათუმის ტ მის მიდამოების მცხოვრებ ქართველ მუსულმანებისა, რომელიც 20 ივლისს შესდგა, სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და მისი სახით დედა სამშობლო საქართველოს. მიტინგი გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ სამუსულმანო საქართველო, როგორც ნაწილი საქართველოსი, დღეს უკულმართი პირობების გამო მისგან მოწყვეტილი, მალე ავტონომიურად გაერთიანებული იქნება დედა სამშობლოსთან. მიტინგი იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობა მიიღებს სათანადო ზომას, რათა დიადი მიზნები განხორციელებულ იქნეს. გაუმარჯოს სამუსულმანო საქართველ, ოსმთლიან საქართველოს ფარგლებში.

მამედ-ბეგ აბაშიძე.

ასეთივე შინაარსის რეზოლიუცია იქნა მიღებული ქობულეთის მრავალრიცხოვან მიტინგზე.

ცაგერიდან ოც ივლისს ფრონტის დღის აღსანიშნავად მიტინგზე ცაგერის საზოგადოება მიესალმება რა ჩვენს მთავრობას, აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას და მზათ არის პირველ მის დაძახებაზე იბრძოლოს შავი რეაქციის წინააღმდეგ ჩვენი რესპუბლიკის და სამშობლოს დასაცავად.

მიტინგის თავმჯდომარე **ხონელიძე.**

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ფრონტის დღის მომწყობი მთავარი კომიტეტი უმორჩილესი თხოვნით მიმართავს რაიონებს, სხვადასხვა კლუბებსა და ბაღებში მეთვალყურეთ არჩეულთა და მატარებლებში ფრონტის დღეების მომწყობ წარმომადგენლებს დაუყოვნებლივ ჩაბარონ მთავარ კომიტეტს დაწვრილებითი ანგარიშები და აგრეთვე შემოსავალი გამართულ გასართობებიდან 23 ივლისის ოთხშაბათამდე. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამართულ დღეებიდან დაჩქარებით უნდა წარმოდგინდეს ანგარიშები და შემოსავალი, უკანასკნელი ვადა კი 1 აგვ. პროვინციისთვის დანიშნული, რომლის შემდეგ გაზეთებში გამოცხადებული იქნება სრული ანგარიში „ფრონტის დღეების" შედეგებისა. ყველა დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და კერძო პირთ, რომელთაც გაიღეს შემოწირულებანი ან და აპირებენ დაეხმარონ ფრონტს თავისი დადგენილებანი ფულის გაღების შესახებ, ცნობები და თვით ფულის თანხაც მთავარ კომიტეტს უნდა ჩაბარდეს 26 ივლისამდე. ფულის შემოწირულებისა, მიწერ-მოწერის და პირადი მოლაპარაკება კომიტეტის წევრებთან შეიძლება ყოველ დღე შემდეგის მისამართით: სასახლე, ქვესტორის კაბინეტი ან რუსთაველის ქუჩა სახლი № 24, მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე სერ. ჟორჟოლიანი.

→ **ბორჩალოს სამაზრო** ერობის ხმოსანთა პირველი კრება გულითად სალამს უძღვნის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას და აღნიშნავს რა მისი ხელმძღვანელობით საქართველოს დემოკრატიის სწორი გზით სიარულს და წარმოუდგენელ ძნელ პირობებიდან თავის დაღწევას, უსურვებს მას დღეგრძელ სიცოცხლეს დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

→ **ამხ. ვლასა მგელაძეს,** რომელმაც ამ წინაზე შემთხვევით ფეხი დაიზიანა, უკვე ოპერაცია უქნეს. ჭრილობა თითქმის მორჩა და მალე ავადმყოფი სრულიად განიკურნება. ვლასა მგელაძე წევს გვარდიის საავადმყოფოში, პეტრე დიდის ქუჩაზე.

→ **ხატისოვის ჩამოსვლა.** გუშინ სწრაფი მატარებლით თფილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი.

→ **ტელეფონის** კავშირი ბორჯომსა და თფილისს შორის დაწესდა 20 ივლისიდან. ლაპარაკისათვის დაარსებულია შემდეგი ნიხრი: პირველ სამ წამში 6 მანეთი, ხოლო შემდეგ თითო წამში ორი მანეთი.

→ **ქალაქთა კავშირს** გადაწყვეტილი აქვს საქართველოს ქალაქების გამშვენიერება. ამ სამუშაოს მოწესრიგება მინდობილი აქვს ინჟენერ სოკოლოვს, რომელიც უკვე შეუდგა ქალაქთა ქუჩების, მოედნების და სხ. გეგმების შედგენას.

→ **სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ** შაბათს, 26 ივლისს, მუშათა კლუბში გაიმართება დიდი სახუმარო საღამო.

→ **ოსმეთის რესპუბლიკის** რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგატების პირველმა ყრილობამ მიმართა თხოვნით ინგლისის სარდლობის მთავარ შტაბს კავკასიაში, რათა მან მიიღოს ყოველივე ზომები ყარაბახში სისხლის ღვრის შესაჩერებლათ და ამ საკითხის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლათ. ამასთანავე ყრილობა დასძენს, რომ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყარაბახი, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს სომხობა, გადაეცეს სომხეთს.

→ **ხვანეთის და ლეჩხუმის მინერალურ წყლების** მისაღებათ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ უკვე შეადგინა საგანგებო კომისია.

→ **მინდვრების მოხარწყავათ** „საგაბაშვილო-თბილისელი"-ს მემამულეთა საინიციატივო ჯგუფმა მიწათ-მოქმედების მინისტრს წარუდგინა გეგმა ზემოაღნიშნულ ადგილების მოსარწყავათ საჭირო ხარჯთ-აღრიცხვით.

→ **მუსიკალურ საზოგადოებაში.** 21 ივლ. შესდგა ქართული მუსიკალურ საზოგადოების ახალი გამგეობის და მუსიკალურ კოლეგიის სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი. სხდომაზე გამოირკვა, „კაპელა"-ს მუსიკალური ნაწილი იქნება მუსიკალურ საზოგადოების, ხოლო ფინანსიური—კოოპერატივთა კავშირის ხელში.

→ **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში.** ოთხშაბათს, 23 ივლისს, საღამოს 7 ს. სამუალო ტექნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის 1, № 70) საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების საზოგადო კრებაზე ინჟ. ვ. გუნცაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ჩატახის თუჯსადნობი ქარხნის მდგომარეობა და რკინის მრეწველობის შექმნა საქართველოში".

→ **ექიმთა შორის.** 13 ივლისს, შესდგა საქართველოს ექიმთა პროფეს. კავშირის თფილისის განყოფილების დამფუძნებელი კრება, რომელზედაც საჭირველი ჩაეყარა ადგილობრივ ექიმთა კავშირს. დრ. გამგეობაში არჩეულ იქნენ: 1) ვ. მუსხელიშვილი, 2) ა. პაატაშვილი, 3) ნ. ტურიაშვილი; კანდიდ.: 1) კ. ტყეშელაშვილი, 2) ნ. მრევლიშვილი. კავშირს სხვათა შორის მიზნათ აქვს დასახული დაარსოს თავის წევრთათვის საპენსიო ანუ საურთიერთო დამხმარე კასა, შემოიღოს მათი დაზღვევა, დაარსოს სინიდისის სასამართლო, შრომის ბირჟა და სხვა.

→ **გვამი.** არხიპოვის ქუჩაზე 21 ივლისს იპოვეს თოკით ჩამომხრჩვალ ახალგაზრდა ქალის გვამი.

→ **მკვლელობა.** 20 ივლისს, ღამის 3 ს. მუსა ალი-ჰაჯი-ოღლიმ თოფით მოჰკლა თავისი ცოლი ნატალია ქორქაშვილი. მკვლელი მიიმალა.

→ **ქურდობა.** 20 ივლისს, ღამით ამაღლების ქუჩაზე მცხოვრებ ქობულაშვილის ბინიდან მოიპარეს ერთი მილიონი მანეთი ფულად და ძვირფასი თვლები.

→ **სახელოსნო კლუბში** (მიხეილის პროსპექტი) აღ. მაისურაძის ლოტბარობით შაბათს, 26 ივლისს სამხედრო სამინისტროს საყარაულო რაზმის მომღერალთა გუნდი გამართავს დიდ სახალხო კონცერტს 4 განყოფილებად. ბილეთები იყიდება კლუბის შესავალთან. დასაწყისი საღამოს 9 ს.

→ **გაახლებთ სამას მანეთს** (300 მ.) **გადასაციმად** „ფრონტის დღის" ფონდის გასაძლიერებლათ, ჩემი პატარა ქალის ნინას (ნინოს) **დაბადებიდან** ... **ნესტორ მამულაიშვილი.**

→ **ათხოვთ გადასცეთ** „ფრონტის დღის" ფონდის გასაძლიერებლათ, ჩემი დის შვილის ნინას, (ნინოს) **მამულაიშვილის** ... **ასულის** ... **ნესტორ** ... **ასი მანეთი** (რედაქციამ მიიღო 400 მ.) ი. ცხომელიძე.

ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲘ

დღეს, 23 ივლისს, საღამოს 6 ს. საქალაქო საზოგადოების ბინაზე დანიშნულია მოწყალეების საზოგადო წლიური კრება.

— დღეს, საღამოს 6 ს. ჩულურეთის მცირე კოლექტივის ბინაზე (19 თებერვლის ქუჩა, სახლი 9) შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა კრება.

— 24 ივლისს სახელოსნო „უპრავაში" დანიშნულია საერთო კრება „ბრილიანჩიკების", მესაათეების, „გრავიორების" და ოქრომჭედლების კავშირისა.

ᲡᲘᲚᲘᲑᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲕᲐᲓᲐᲕᲙᲝᲠᲘᲐ.

ოზურგეთისა და ლანჩხუთის სახალხო გვარდიის შტაბებმა გვამცნეს, რომ 13 ივლისს ტრაღიკულად გარდაიცვალა სახალხო გვარდიელი სილიბისტრო სტეფანეს ძე ვადაჭკორიაო.

ეჭვი არაა, სილიბისტროს სიკვდილი დიდი დანაკლისია საერთოდ გურიის გვარდიისათვის, ხოლო უფრო მეტი და მწვავე იქნება ის იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც ის ხელმძღვანელობდა.

სილიბისტრო ჯერ კიდევ გერმანიის ფრონტიდან მისი შეუდარებელი მამაცობისთვის დაჯილდოებული მოგვეგონა. ის გავიცანით ჩვენი კუთხის ყველა ფრონტებზე. მისი ბუნება იყო იშვიათი,—უღმობელი. ფრონტზედ მას სწამდა მხოლოდ ბრძოლა, ის თითქოს ამისთვის იყო გაჩენილი.

ცეცხლის ენები ყუმბარებისა, სისხლის წვიმები ტყვიებისა, წინსვლა და ბრწყინვალე გამარჯვება,—აი მისი დევიზი!

სამხედრო ხელოვნების კარგი მცოდნე, არტილერისტი, მოხერხებული მზვერავი, თავგანწირული მებრძოლი, უწყინარი,—აი რა თვისებები ახასიათებდა სილიბისტროს.

სომხეთთან ომის დამთავრების შემდეგ ის სოფელს უბრუნდება და იწყებს ოჯახურ ცხოვრებას. ნივთიერათ ის მეტათ ღარიბია თავის პატარა ქოხში, მას მეზობლები დახმარებას აძლევენ, რაც მას ახარებს, მომაღლის იმედებით გული უბრწყინდება, მაგრამ... მისი ბედნიერი დღეები ხან მოკლე გამოდგა.

ალისტრო.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ჭიათურის „საგიმნაზიო ფონდის კომისიამ" ჭიათურა-საჩხერის მოქალაქეებს მოწოდებით მიმართა, რომლითაც მოუწოდებს მცხოვრებნი გაიღონ თავიანთი წვლილი გიმნაზიის სასარგებლოთ. მოწოდება, სხვათაშორის, შემდეგს შეიცავს:

„1 ენკენისთვიდან ჭიათურაში განზრახულია გაიხსნას გიმნაზია ორთავე სქესისათვის ახალი ტიპის. წელს გაიხსნება მე-5 და მე-6 კლასები. მაგრამ გადაწყვეტილება, დადგენილების გამოტანა ერთია, მისი განხორციელე-

ბა, ცხოვრებაში გატარება—მეორე: თუ ჭიათურის ქალაქის თვითმართველობამ ვერ ჰპოვა ქ. ჭიათურისა და მის რაიონების მოქალაქეთა შორის შესაფერი გამოძახილი და თანაგრძნობა, ეს გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათ დარჩება, დიდი კულტურული საქმე არ განხორციელდება. იმ იმედით, რომ ჭიათურასა და ჭიათურა-საჩხერის რაიონების მოქალაქენი დახმარების ხელს გაუწვდიან ამ საშვილიშვილო საქმის კეთილ დაგვირგვინებაში და თავის ნივთიერ წვლილს არ დაიშურებენ ამ საქმისათვის,—მხარში ამოუდგებიან ჭიათურის ქალაქის თვითმართველობას და შეაძლებინებენ მას ამ საქმისათვის ხორცის შესხმას, თვითმართვ. სასკოლო კომისიასთან შესდგა საგიმნაზიო ფონდის დამაარსებელი კომისია. ამ კომ. მიზანია შექმნას ფონდი (თანხა) სხვადასხვა საშუალებებით: საღამოების, წარმოდგენების, ლექციების და სხ. გამართვით, კერძო შემოწირულების შეგროვებით და სხვა საშუალებით. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოს ყველა ქალაქებში და ზოგიერთ დაბა-სოფლებშიაც გიმნაზიები დიდი ხანია რაც დაარსდა და დიდ საკულტურო საქმეს ეწევიან. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ჭიათურა და მისი რაიონები, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 150 ათასამდეა. იცოდეთ, რომ ჩვენ მხოლოდ უნდა დავაარსოთ გიმნაზია, შემდეგ მის შეძახვას და წარმატებას ჭიათურის ქალაქის თვითმართველობა კისრულობს. მაშ, საქმისაკენ, მოქალაქენო“.

ს.-დ. პარტიაში

თფილისის არტილერიის საწყობი. 15 ივლისს შესდგა შეერთებული პარტიული (სოციალდემოკრატიული) კრება საქართველოს არსენალის და თფილისის არტილერიის საწყობის მუშა-მოსამსახურეთა, ამხ. კ. კოპალეიშვილის თავმჯდომარეობით და ა. ხაფთასის მდივნობით. კრება მოწვეულ იქმნა ხსენებულ დაწესებულებებში არსებულ მცირე კოლექტივის ინიციატივით იმ მიზნით, რომ აეხსნა, ამხანაგებისათვის დღევანდელი მომენტი, რისთვისაც მან, ე. ი. მცირე კოლექტივმა, მოიწვია საგანგებოთ ს. ს. დ. მ. პ. თფილისის მეორე რაიონის კოლექტივისაგან ამხ. ბახტაძე, რომელიც ვრცლად შეეხო დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას. ორატორი შეეხო აგრეთვე საქართველოს მდგომარეობას და სხვათა შორის სთქვა: „სანამ საზავო კონფერენციას საბოლოოდ არ დაუდასტურებია ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენ ყოველ ჟამს მზათ უნდა ვიყოთ იარაღით ხელში და თუ საჭირო იქნება, დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობაო. ეს აზრი კრებამ სავსებით გაიზიარა და გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია. ა. ჩ.

სად. ბოლჯომი. 15 ივლისს შესდგა ბორჯომის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეების ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის კრება. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები. 1) მოხსენება სამაზრო ცენტრიდან და მომენტზე, 2) საბარგო და საქონლის ზოგიერთ მუშა-მოსამსახურის მოქმედებაზე.

საძახოო ცენტრიდან და მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. შახნაზაროვი, 2) მუშა-მოსამსახურეების შესახებ იმსჯელა რა კრებამ დაადგინა: რადგანაც უკვე ფაქტები ხელთ გვაქვს, რომ სადგურის საწყობებში გადატვირთ-გადმორტვითვაში ალაგი აქვს ბოროტებას და ხდება უწესობა, ამით უკმაყოფილება იბადება ხალხში, ამისთვის კრებამ დაადგინა ეცნობოს რკინის გზის პროფესიონალურ გამგეობას დანიშნოს კომისია, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ამ აღვირ-ახსნილობას.

მდივანი **გ. აფრიდონიძე.**

მუშათა შორის

ფოთი. არც ერთი სავაჭრო სამრეწველო დარგი არ გინიცდის ხაზეინთა ექსპლოატაციას ისე, როგორც ქ. ფოთის პარიკმახერთა ნოქრები. აქ არ არსებობს არავითარი სამუშაო ნორმა, მიუხედავათ მთავრობის მიერ გამოცემული რვა საათის სამუშაო დღის კანონისა, ზემო დასახელებული ნოქრები მუშაობენ 16 17 საათს. ხაზეინთა გავლენით ნოქართა კავშირი თითქმის არ არსებობს. ძველი კავშირის წევრები სადღაც გაიფანტნენ. ზოგი კერძო საქმით გატაცებული საამისოდ თავს არ იწუხებს. ამით სარგებლობენ უხეში ხაზეინები და ისეთ მდგომარეობაში აყენებენ საბრალო ნოქრებს, რაიც ყოვლად წარმოუდგენელი იყო თვითმპყრობელობის დროსაც კი. არა ერთხელ მიუმართავთ ნოქრებს შრომის მინისტრის რწმუნებულისათვის, მაგრამ საქმეს არა ეშველა-რა. მადა გახსნილი „ხაზეინები“ არ დაკმაყოფილდნენ 17 საათის მუშაობას დღეში და კვირა-უქმე დღეებშიაც აღებენ სახელოსნოებს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას. კ.

ტყიბული. მაღაროებში მომუშავე მუშების ცხოვრება ყოველთვის უნუგეშო იყო. რვა საათს ტუნელში ყოფნის დროს რა მოგელის არ იცი ზევიდან წვიმა, ძირს ტალახი და წყალი. წინად ყოველდღე დადიოდენ შიგ ინჟენერები და ათვალიერებდნენ, რომ კარგათ გამაგრებული ყოფილიყო, რათა მარცხი არ მოსულიყო. ხშირათ ამ ნიადაზე კიდეც მიუხურავს მაღაროები სამთო-მადნო დაწესებულებას; დღეს კი, კვირაში ერთხელ ვერ ნახავ შიგ ინჟენერს. არ არის გასაგრებელი მასალა, ლაძები. ასე რომ, ყოველ წამში დიდი მარცხია მოსალოდნელი და რას ნიშნავს ასეთი უყურადღებობა ინჟენერების მხრით არ ვიცით. ერთი ხანია რაღაც მაღაროების ადმინისტრაცია ძალიან უმოქმედობას იჩენს ყოველგვარ საქმეში. ჩვენ მოვითხოვთ მაღაროების ადმინისტრაციისაგან, რომ სანამ ისინი საქმეს განაგებენ, უნარი გამოიჩინონ, საქმეს ყურადღებით მოეპყრან.

მაღაროს მუშა.

სახალხო უნივერსიტეტისათვის

სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ აღნიშნულ 17 და 18 მაისის გამართულ დღეებში შემოვიდა ყულაბებით 33,371 მ. 83 კ., სხვადასხვა პირთა და დაწესებულებებიდან: თფილისის საადგილ-მამულო ბანკიდან 1,000 მ. კავკასიის ბანკიდან 500 მ., ამიერ-კავკასიის ბანკიდან 500 მ., ამხანაგობა ა. ზარგარიანციდან ფ. ვარტაზარიანც და ამხანაგობიდან 1000 მ., ძმები ხოდორსკისაგან 500 მან., დ. მ. ლამპოვსკისაგან 300 მ., ე. ა. კილაძისაგან 300 მ., ძეგველოვისაგან 300 მ., ი. გ. ბურჭულაძისაგან 500 მ., აზოვო-დონის ბანკიდან 500 მ., ცენტრალური სასურსათო საბჭოსაგან 500 მ., და სხვადასხვა პირებისაგან 12,220 მ., სხვადასხვა ადგილას გამართულ აუქციონიდან შემოვიდა 8084 მ., ალექსანდრეს ბაღში გამართულ სეირნობიდან 1758 მ., პროცენტები სინემატოგრაფ-ინტერნაციონალის შემოსავლიდან 100 მ., ერიციანის თეატრიდან 123 მ., ტარტოდან 232 მ. 60 კ., ყველა კინემატოგრაფიდან 500 მ. 10 კ., მინიატიურიდან 215 მ. 40 კ., მუშ. საბჭოსაგან 10,000 მ., ოფიც. ეკონომიურ საზოგადოებიდან 267 მ. 68 კ., ქართ. შ. წ. კ. გ. საზ. 1000 მან., ქართულ საადგილ-მამულო ბანკიდან 500 მ., შემნახველ-გამსესხებელ საზ. 1403 მ., ქალაქთა კავშირისაგან 600 მან. სულ შემოსავალი უდრის 66,260 მ. 28 კ. გასავალი იყო 9,117 მ. 50 კ. წმიდა შემოსავალი 57,142 მ. 78 კ.

გამგეობა მადლობას უცხადებს საზოგადოებას, კომიტეტის წევრებს, აღმასრულებელ კომისიას, რაიონთა წარმომადგენლებს, სახალხო უნივერსიტეტის და მის განყოფილებათა თანამშრომლებს და მსმენელებს და ყველა იმ პირთ, რომელთაც ხელი შეუწყვეს საქმის როგორც მატერიალურათ, აგრეთვე მორალურათ დაგვირგვინებას.

პროვინცია

ახალსოფლის საზოგადოება. (გორ მაზ.) წრევანდელი წელიწადი ჩვენში დაწყევლილ წელიწადათ ითვლება. ჯერ ჩვენს ხალხს არაფერი კეთილი არ უნახავს. ხალხს თავზარი დასცა ერთის მხრივ ჭირიანობამ, მეორეს მხრივ შიმშილობამ, თითქმის მთელ საზოგადოების მცხოვრებ ოსებზე და მთიულებზე მოდებული იყო ჯერ „ისპანკა“, მერმე „ტიფი“. ერთმაც და მეორემაც მოსპო ხალხი. ორი სოფელი, ს. დიდი ჯვარები და ღებრიანი თითქმის გაანადგურა. ს. დიდ ჯვარებში, სადაც 15 კომლია, დაიხოცა 30 კაცი და ქალი. ზოგ სახლში 4—6-მდის დაიხოცა. ს. ღებრიანში სოლო გოგიჩევის ოჯახიდან დაიხოცა ცხრა კაცი და ქალი. დაახლოებით 300 სულამდის დაიხოცებოდა საზოგადოებაში. ვინც ნაავადმყოფარი ცოცხალი გადარჩა, იმათაც მომეტებულ წილს საცოდავი შეხედულება აქვთ. ესენი მუშაობას ვერ შეძლებენ მთელ ზაფხულს. შიმშილობამ შეაწუხა უფრო მეტად ს. ბალუანი, დიდი ჯვარები, პატარა ჯვარები, ახალ-სოფელი, ნადარბაზევი და სხვა, სადაც გასულ წელს ჭირნახული სეტყვამ გაანადგურა. ჭინახულის ყიდვა შეუძლებელი შეიქმნა ბაზარზე, სადაც სიმინდს ფუთს 140—150 მან. ჰყიდიან. როგორც იყო, ამ ცოტა ხნის წინათ ზოგმა ხარი გაყიდა, ზოგმა ძროხა, ვაი ვაგლახით ნაშოვნი ფული მოაგროვეს, ჩააბარეს ს. ნადარბაზევში მცხოვრებ გიორგი საკაევს. ამან ბევრი წვალების შემდეგ მოიტანა ერთი ვაგონი სიმინდი ქ. გორში ახალ-სოფლის საზოგადების მცხ. ფულით. გორის სამაზრო ერობამ ჩამოართვა თითქმის ვაგონის მესამედი ხიდისთავის საზოგადოებისთვის—ატენის მუშებისთვის და სხვა. ერობა თითონ უნდა ცდილიყო, რომ ჩამოეტანა სიმინდი დამშეულ ხალხისთვის. ხიდისთავის საზოგადოებაც ხომ შორს არ არის, მას შეეძლო მოეგროვებინა ფული და ჩამოეტანათ თითონ. ამ სურათს მოჰყვა ასეთი ამბები. გაიგეს თუ არა სიმინდის მოსვლა ახალ სოფლის საზოგადოებამ, მაშინვე ჩამოვიდნენ გორში ცხენებით, მაგრამ ფულის პატრონებს სიმინდი არ გასწვდათ და ნახევრათ ცარიელები დაბრუნდნენ. მიიღეს თავიანთი ფული დიდი საყვედურით და ლანძღვით საკაევისაგან. მეორეთაც გაგზავნეს სიმინდის ჩამოსატანათ. ჩამოიტანა ახლაც სიმინდი ამ ივლისს, მაგრამ ახლაც ჩამოართვა ერობამ რამდენიმე ტომარა სიმინდი. ჩვენი საზოგადოება რომ ასე დიდ გაჭირვებაში არ ყოფილიყო, მაშინ კიდევ შეიძლებოდა მათი სიმინდის სხვებზე გაწაწილება. თესლის ნაკლებობისა გამო ჩვენში ცოტა დაითესა. ს. ბალუანში ზოგს სულ არაფერი დაუთესია. ჩვენზე არა ნაკლებ გაჭირვებას განიცდის წალკის ხალხი, სომხები, ბერძნები და თათრები. აქაც ბევრს არაფერი დაუთესიათ. გაყიდეს საქონელი ბევრმა, რაც კი ჰყვანდათ. ცხენები მომეტებულ წილს არა ჰყავთ და გორიდან ზურგით 60—100 ვერსამდის ეზიდებიან სიმინდს. ასეთი ადამიანი ისევ ბრუნდება დაუსვენებლივ გორში სიმინდისთვის.

ასეთ გაჭირვებას რითიმე ეშველებოდა, გზები რომ გექონოდა. ურმის გზა რომ ყოფილიყო გორიდან წალკამდისინ, მაშინ რამდენიმე კომლი ერთად მოიტანდნენ სიმინდს გორიდან ურმით. ერობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ურმის გზის გაყვანას გორიდან წალკამდისინ. ამ გზას არც ისე დიდი თანხა დასჭირდებოდა და ხალხიც დიდ დახმარებას მისცემდა. ოთხგან არის საჭირო გზის გამოკეთება, სახელდობრ, „ლულის აღმართი“. ახალსოფლის გზა, „ზაი წყაროს ქედი“ სულ 10 ვერსი. ამ დასახელებულ ადგილებში ცარიელ ცხენსაც უჭირს სიარული. ჩვენს ახალსოფლის შუაზე ჩამოდის მდინარე „თეზანი“. ამ მდინარეზე ხიდი არსად არ არის. უბრალო ხის ხიდეები იყო რამდენჯერმე, მაგრამ ადიდების დროს წყალს მიაქვს. ორ-სამ დღეობით ელის მგზავრი წყლის დაპატარავებას. ზამთარშიაც კი ფეხით გადიან ამ წყალში უცხენო მგზავრები. გაზაფხულზე კაციც მოიტაცა. ახლა როგორც იყო დავაპირეთ ხიდის გაკეთება, ხალხის თხოვნით წავედით მე, ჩვენი კომისარი ი. ძუკაევი, მილიციონერებით და ს. ბორცვანაში მცხოვრები ბ-ნი გაგლოევი წალკაში ხიდისთვის ფულის მოსაგროვებლად აქ ქვევით მოვიყვანთ შემომწირველთა სიასაც. მიუხედავათ ხალხის დიდ გაჭირვება და კრიტიკულ მდგომარეობისა, მაინც ხალხი ამ კითხვას სიხარულით შეხვდა. შეგროვდა: 1) ს. გარაკი (ბერძნებია) 484 მან., 2) ს. ჩოლაყი (თათრებია) 305 მ. 3) ს. ყაბური (სომხებია) 400 მ. 4) ს. სანთა (ბერძნებია) 100 მ. 5) ს. დამალამ (სომ. ბოშები) 100 მ. 6) ს. ჯინისი (სომხებია) 200 მ. 7) ს. აშხალა, დაგვპირდნენ 400 მ. 8) ს. ხაჩკოვიც 400 მ. დაახლოვებით შეგროვდა 2 ათას მანეთამდე.

ხიდის გაკეთებას კისრულობს შეღავათიან ფასში ს. გულხანდისში მცხოვრები ნიკო გაბაროვი და იმედია პირნათლად შეასრულებს ამ ფრიად საჭირო საქმეს. ხიონ.

აბაშის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო ულრმეს მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, რომელთაც თვისი წვლილის შეწირვით და პირადი შრომითაც ხელი შეუწყვეს გიმნაზიის სასარგებლოდ დ. აბაშაში 15 ივნისს გამართულ სეირნობის მოწყობას. X.

ცნობები

1 მწიფობისთვეს, 1918 წ. ჩემი შვილი ტარიელ კალანდაძე, 17 წლის, წავიდა სახლიდან და დღემდე არ დაბრუნებულა; თუ ვინმეს იცის მის შესახებ რაიმე, ვსთხოვ მაცნობოს სოფელ ბუკნარში, ოზურგეთის მაზრა, ივანე კალანდაძეს.

განცხადებანი

სამხედრო ხე-ტყის ქარხანა

ამით აცხადებს, რომ იგი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს აძლევს ყოველგვარ დახერხილ ხის მასალას დაკლებულ, ხელ მისაწდომ ფასებში. (5—2)

საექიმო კაბინეტი

ექიმ ქ. თ. ტყეშელაშვილის

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 65) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი ბ. ფ. ფალოგლიშვილი

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

სახალხო კინო-თეატრი

ქალაქის შრომის ბირჟასთან არსებული.

(მადათოვის და ბარიატინსკის ქ. კუთხე)

სასოგადოების და მუშათა ორგანიზაციების თხოვნით გაგრძელებულია ორი დღით 22 და 23 ივლის ცნობილი სურათი „**რევოლიუციონერი**“. დრამა ი. ნ. პერესტიანისა. მონაწილეობენ საუკეთესო არტისტები რუსულ დრამისა. დრამის მოკლე შინაარსი: რევოლიუციის დასაწყისი 1905 წ. და მისი დამთავრება. დაპატიმრება ცნობილ რევოლიუციონერის ალიხანოვისა. ციმბირში გადასახლებულების ცხოვრება. 1914 წლის ომი და მისი შედეგები: შიმშილი, საერთო მოძრაობა. ხალხის უკანასკნელი სიტყვა—რუსეთის დიდი რევოლიუცია 1917 წ. საერთაშორისო ომი და სოციალისტური პარტიების შეხედულება- განთქმული ძველი რევოლიუციონერი ალიხანოვი იღებს მხურვალე მონაწილეობას ამ ომში და მოუწოდებს ბევრს სხვებსაც. დასასრულში: ორი მამაცი მეგობარი (კომიკური). შესასვლელი ფასი 3 და 5 მან. მთელი შემოსავალი კინო-თეატრისა გადადის შრომის ბირჟასთან არსებულ საჩაიეს სასარგებლოდ. ანონსი: 24, 25, 26 და 27 ივლისს ნინოშვილის ცნობილი დრამა: „ქრისტინე“ ქართ. ენაზე. „სახალხო გვარდიის დღე“ და „დამფუძნებელ კრების გახსნის დღე“, (2—2)

21, 22 და 23 ივლისს ნაძალადევის თეატრის გაღმა

მოდით ღა ნახეთ ეკრანზე აღმშენებლობითი მუშაობა საქართველოსი რევოლიუციის ქარტეხილის დროს;

1) ღერძი ერისა დამფუძნებელი კრება, 2) ჩვენი სიამაყე გვარდიის დღე, 3) ჩვენი სიდიადე 26 მაისი, 4) მაშვრალთა სულის მესაუბრე ნინოშვილის ქრისტინე და 5) „ბათომის კონფერენცია 1918 წ.“

მისი მნახველი დარწმუნდება ღირს თუ არა ბათომისათვის თავდადება, თუ კი მდგომარეობამ იგი მოითხოვა. (3—3)

დიტრიხის ამხანაგობის პივის საწყობი

(ყოფილი დიტრიხ).

მუზეუმის შესახვევი (ყოფილ სემინარიის პირდაპირ). „კავკასიის სასოფლო მეურნეობის სამრეწველოს“ ამხანაგობის საწყობში იყიდება **ექსპორტის პივა** ბოთლი 12 მან.

ხავერდიანი პივა 14 მან. ბოთლი.

საწყობი ღიაა ყოველ დღე 8—2 საათამდე და 4 ნახ. 6 საათამდე. კვირაობით საწყობი დილის 8—12 საათამდე. (3—3)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.